

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით გათვალისწინებული დროებითი საგამომიებო კომისია, რომელიც შეისწავლის „2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტს“

2. დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის საფუძველია დანაშაული, რომელიც უკავშირდება პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რის შედეგადაც მოკლულ იქნა თემირლან მაჩალიკაშვილი, რაზეც არსებობს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ.

3. დროებითი საგამომიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხია - 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის ფაქტი;

4. დროებითი საგამომიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განსაზღვროს 3 თვე.

5. დროებითი საგამომიებო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 11 წევრით.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე